URL: http://urakparaki.com/?m=4&ID=61333

ავტორი: ბექა ქებულაძე
ჟანრი: პოეზია
გამოქვეყნების დრო: 2012-07-07 09:48:57

უჰაერო სივრცეში

უჰაერო სივრცეში დატრიალდა ორომი.
დატრიალდა ისე, რომ ორომტრიალს მოჰგავდა.
ხასიათებს ავირევთ ფონს გასული - ბოლომდე.
ლოცვებს აღარ გასძახის დაჩოქილი მოლა და

აღარც ეპაექრება ტყვია სისხლით მორწყული
ფაიტონი გაქანდა და ილიაც იწყება…
სანაპიროს გადმოღმა ტივზე მჯდარი მოვცურდი
და დამიწყეს თითზე თვლით აღმაფრენის მტკიცება.

გადავწერე რვეულში დროებით და მგოსნებად:
ჩაფენილი ღვარცოფი გაგვიახლებს ქრუანტელს.
ზოგსაც ადრე სიბერით უბერდება ოცნება -
,,რა აზრი აქვს პოეტი ისტორიას თუ ავსებს"...

დაობებულ თაროზე ახლაც ბევრი აზრი დევს,
გაეხვია წერილი ობობების ქსელში და
რაც კი დასაბამიდან დასასრულთან გაზიდეს,
ახლა ფიქრობს პოეტი : - ნეტავ მე გამეზიდა…

უჰაერო სივრცეში დატრიალდა ორომი.
დატრიალდა უკვე და გული ისე ველარ ცემს.
გვიან ნანობს პოეტი, თავიდან და ბოლომდე
დაჩოქილი ხატის წინ რომ ულმერთოდ შერაცხეს.